ამასთან, საპროექტო ტერიტორია მოქცეულია გეგმარებითი კარკასში (გკ), რომელიც წარმოადგენს დედაქალაქის ცენტრალურ, შუალედურ და პერიფერიულ ზონებში, ქალაქის მატერიალური გარემოს ათვისების მაღალი ხარისხის, სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების კონცენტრაციის, ტერიტორიების გამოყენების ინტენსივობის, არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი ანსამბლებისა და მოცულობითი აქცენტების, საზოგადოებრივი ცენტრების - აქტიური საცხოვრებელი და საზოგადოებრივი გარემოს არსებობის ნიშნით გამოყოფილი სტრუქტურულ ელემენტს, რომელიც ყალიბდება საერთო საქალაქო მნიშვნელობის უწყვეტი და რეგულირებადი, აგრეთვე რაიონული მნიშვნელობის სატრანსპორტო - ფეხმავალი მაგისტრალებისა და ქუჩების გასწვრივ და რომელიც, როგორც წესი, მოიცავს ნაკვეთების პირველ რიგს, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით.

N01.10.10.025.048 დაN01.10.10.025.112 რეგისტრაციები მოქცეულია ნაკვეთების პირველ რიგში- აკაკი ბაქრაძის ქუჩის პარალელურად სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მომიჯნავედ.

აღნიშნულის გათვალისწინებით ზემოაღნიშნულ რეგისტრაციაზე ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) გავრცელება მიზანშეწონილია. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 18 აპრილის N01231082378 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით N01.10.10.025.091 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე და საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთით ფაქტობრივად არსებულ სატრანსპორტო ზონა 1-სა (ტზ-1) და მოთხოვნილ საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ს (სსზ-2) შორის ხარვეზის სახით დარჩენილი სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) იცვლება საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ით (სსზ-2).

12-032315835-03- 07.06.2023 (არეალების რუკაზე ცვლილება))

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილება ეხება შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკით განსაზღვრულ ვარკეთილის მასივის ტერიტორიის არეალს. წარმოდგენილი ცვლილებით ზუსტდება ვარკეთილის მასივის სამშენებლოდ განვითარების რეგლამენტი, რომლის განვითარება დასაშვები ხდება ცალკეულადაც, განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე. ასევე, წინამდებარე ცვლილება ითვალისწინებს ქალაქგეგმარებითი არეალის რეგლამენტის დაკონკრეტებას, რაც გულისხმობს სამშენებლო მოცულობის პროცენტულობიდან დარჩენილი ფართობის დაანგარიშების წესს

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს საბა ბუაძემ, ნინო წულაძემ და ლილე ლიპარტელიანმა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია ხმათა უმრავლესობით მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39- 18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის 21 წინადადება, ზ/თქმული შენიშვნით გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

2. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შპს „ფუნდარისტვის“ (ს/კ 405586780), მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნინო აბაშიძე-ორბელიანის ქუჩა №72-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.038.337, ფართობი - 1000.00 კვ.მ) მიმართებით,

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდელიემ ნინო ზაგაშვილმა. მისი თქმით, შპს „ფუძნარის“ მიერ კუტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობანაგებობების ა(ა)იპ- თბილისის განვითარების ფონდის მიერ რეაბილიტაცია/ჩანაცვლების მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონის მიღმა არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.038.337 ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება და აღნიშნულის სანაცვლოდ შესაბამისი ფასის გადახდა იქნა მოთხოვნილი. აღნიშნული მოთხოვნის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები მდგომარეობს შემდეგში: კომპანიის საკუთრებაშია მისამართზე: ქ. თბილისი, სოფელი დილომი, ნინო აბაშიძე-ორბელიანის ქუჩა N72 არსებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.72.14.038.337, ფართობი - 1000 კვ.მ). მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით აღნიშნული საკადასტრო კოდზე ვრცელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის NN5904178 გადაწყვეტილებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) პარამეტრებით და განსაზღვრულია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2 - 2.1. ასევე, შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებობის ნებართვა. შპს „ფუძნარის“ მიერ წარმოდგენილ იქნა დასკვნა მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების შესახებ - გაცემული სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. ექსპერტიზის წინაშე მოთხოვნილ იქნა მიწის N01.72.14.038.337 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის შეფასება, როგორც ვაკანტური მასზე არსებული კომუნიკაციის და შენობა-ნაგებობების გარეშე, მშენებლობის ნებართვით მიღებული კოეფიციენტით K2-2.1. დასკვნის შესაბამისად მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 5 აპრილის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენდა 626 341 ლარს. ამ ძირითად მახასიათებლების მიხედვით დაინტერესებული პირმა მოითხოვა შემდეგი მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენება: N01.72.14.038.337 საკადასტრო ერთეულზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2)-ის გადამეტება 2.1-დან 2.6-მდე ასევე დამატებულ მოცულობაზე, სიმაღლის ნაწილში პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. ვინაიდან, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს, პროექტის მიღების მიზეზს. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 149 128.81 (ას ორმოცდაცხრა ათას ას ოცდარვა ლარი და ოთხმოცდაერთი თეთრი) ლარით

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს საბა ბუაძემ, ნინო წულაძემ და ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად

3. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ფატმანის ქუჩა N98-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.300.001, ფართობი - 7 321 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032315839-03- 07.06.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდელიემ ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2023 წლის 11 მაისის N01231313377-67 (01231372064-67) განცხადებით ქალაქ თბილისში, ფატმანის ქუჩა N98-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.300.001) მესაკუთრეებმა (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.72.14.300.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=2.5), გამოხატეს მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. N01.72.14.300.001 საკადასტრო ერთეულზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N623 განკარგულებით დამტკიცებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა. N01.72.14.300.001 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) არის საშუალო ინტენსივობის შერეული საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელ ზონა 5-ში (სზ-5) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს შერეული ტიპის საცხოვრებელი სახლები. დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.1-დან კ-2=2.5-მდე. ასევე დამატებულ მოცულობაზე, სიმაღლის ნაწილში პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N01231313377-67 (01231372064-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N003081523, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 8 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 4 163 442 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის

ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 793 036,57 (შვიდას ოთხმოცდაცამეტი ათას ოცდათექვსმეტი ლარი და ორმოცდაჩვიდმეტი თეთრი) ლარით

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს საბა ბუაძემ, ნინო წულაძემ და ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად

4. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შპს „არეა ენთერფრაისისთვის“ (ს/კ 437978903), მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დილომი, შერმადინის ქუჩა N27-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.036.442) მიმართებით გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე” (საკრებულოს №12-032315837-03- 07.06.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდელიემ ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, 2023 წლის 15 მაისს N01231352286-67 (01231383489- 67) განცხადებით მომართა ამირან მარკოიშვილმა, რომელმაც გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობანაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის გადახდაზე. აღნიშნულის სანაცვლოდ, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება მოთხოვნილ იქნა მიწის ნაკვეთზე, მისამართი: ქალაქი თბილისი, სოფელი დილომი, შერმადინის ქუჩა N27 (საკადასტრო კოდი: N01.72.14.036.442), რომელიც არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში. N01.72.14.036.442 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა (სზ). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არქიტექტურის სამსახურის N3254915 ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) პარამეტრებითა და პირობებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 18 ოქტომბრის N1-2251 ბრძანებით N01.72.14.036.442 საკადასტრო ერთეულისთვის განსაზღვრულია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი: კ-2=3.5. განმცხადებლის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილ იქნა მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.5-დან კ-2=4.2-მდე. ასევე დამატებულ მოცულობაზე, სიმაღლის ნაწილში პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N001287223, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული მიწის ნაკვეთის 1 კვ.მ-ის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 23 თებერვლის მდგომარეობით შეადგენს 969 ლარს. ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში

არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის ოდენობა განისაზღვროს შემდეგი პრინციპით და საანგარიშო ფორმულით: $L X = (K2 1 - K2) S K2$ სადაც: ა) X არის ბიუჯეტში გადასახდელი ფასის ოდენობა; ბ) L არის 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასი*; გ) K2 არის მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი; დ) K2 1 არის მიწის ნაკვეთისათვის მოთხოვნილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი; ე) S არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობი. *მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასი დგინდება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე ლარში. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 852 720 (რვაას ორმოცდათორმეტი ათას შვიდას ოცი) ლარით

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს საბა ბუაძემ, ნინო წულაძემ და ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად

5. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შპს „მანუსთვის“ (ს/კ 406060220), მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის I მ/რ, კორპ. N16 მიმდ; ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის I მ/რ, კორპუსი N15-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.07.039.031, ფართობი - 1 551 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032315832-03- 07.06.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, შპს „მანუს“ მიერ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების ა(ა)იპ-თბილისის განვითარების ფონდის მიერ რეაბილიტაცია/ჩანაცვლების მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონის მიღმა არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.07.039.031 ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენება და აღნიშნულის სანაცვლოდ შესაბამისი ფასის გადახდა იქნა მოთხოვნილი. აღნიშნული მოთხოვნის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები მდგომარეობს შემდეგში: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2023 წლის 23 მაისის N012314328-67 (01231491881-67) განცხადებით შპს „მანუს“ (ს/კ 406060220) N01.17.07.039.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=4.2), გამოხატა მზაობა მავომპენსირებელი ღონისძიების

სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. N01.17.07.039.031 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის "ო" ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) არის მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის "ო" ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელ ზონა 6-ში (სზ-6) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის N6451201 გადაწყვეტილებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის. განმცხადებლის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=4.2-მდე. ასევე დამატებულ მოცულობაზე, სიმაღლის ნაწილში პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N012314328-67 (01231491881-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N003006223, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 4 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 1 100 093 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 748 063,24 (შვიდას ორმოცდარვა ათას სამოცდასამი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარით

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს საბა ბუაძემ, ნინო წულაძემ და ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად

6. ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა №4ა; ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი 19/089); ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა №1; ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა №1-ის მიმდებარედ; ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.11.12.019.144, №01.11.12.019.155, №01.11.12.019.160, №01.11.12.019.816, №01.11.12.019.161) მრავალბინიანი საცხოვრებელი

კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032315087-03 30.05.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტიმემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩაზე და მოიცავს №01.11.12.019.161, N01.11.12.019.144, N01.11.12.019.155, N01.11.12.019.160 და N01.11.12.019.816 საკადასტრო ერთეულებს. საერთო ფართობი: 6 264 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2) საპროექტო ტერიტორიას სამხრეთიდან ესაზღვრება ევგენი ხარაძის ქუჩა (მთავარი სამანქანო მისასვლელი), სხვა დანარჩენი მხრიდან კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები. მოცემულ არეალში გვხვდება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, ქარხნის და სასაწყობე ფუნქციით განვითარებული ნაკვეთები. საპროექტო არეალში შემავალი N01.11.12.019.816 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას, რომლის შესყიდვაც მოხდება განაშენიანების რეგულირების გეგმის ეტაპზე. წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად, ტერიტორიის განვითარება იგეგმება საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6), რაზედაც მოეწყობა მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი. შენობის სავარაუდო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი (კვ.მ) – 6 264 კვ.მ სამოსახლო მიწის ნაკვეთების რაოდენობა (საპროექტო-სავარაუდო) – 1; სულ მიწის ნაკვეთების რაოდენობა (საპროექტო-სავარაუდო) –1; შენობების რაოდენობა - 2; შენობა-ნაგებობების მინიმალური და მაქსიმალური სართულიანობა - 6-14 საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6); მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი: კ1-0.5 , მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი: კ2-2.5 მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ3-0.3 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 23 მაისის N01231433162 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N01.11.12.019.155, N01.11.12.019.160, N01.11.12.019.816, N01.11.12.019.161, N01.11.12.019.144; საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 23 მაისის N01231432526 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების დონე დამაკმაყოფილებელია. საპროექტო ტერიტორიიდან საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები საშუალოდ 5 წუთის საფეხმავლო მანძილზეა. ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში ქერჩის ქუჩა მოიაზრება, როგორც ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფანი (კარგად შეკავშირებული, ხშირი და მაღალი მოცულობის ქსელი). ამავე დროს, მიმდებარე ქუჩებზე განახლდება და გაუმჯობესდება მეორეული საქალაქო და მესამეული საუბნო შემკრები საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელი. აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს, გაჩნდება დამატებითი

რეზერვები და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას. საგზაო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, მიმდებარე გამტარ კვანძებზე სამანქანო გადაადგილების რაიმე მნიშვნელოვანი შეფერხებები არ შეინიშნება. ამასთან, საზ. ტრანსპორტის გაუმჯობესების შემდგომ, მოსალოდნელია კვანძებზე არსებული რაიმე დატვირთულობის საგრძნობლად განმუხტვა. დაგეგმილი პროექტი განხორციელების შემდგომ ვერ მოახდენს არსებით უარყოფით ზეგავლენას არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო 2023 წლის 23 მარტის N61- 01230823446 წერილის შესაბამისად, არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული N01.12.019.816 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საპროექტო არეალში იმ პირობით, თუ აღნიშნული მიწის ნაკვეთი, დაინტერესებული მხარის მიერ შესყიდული იქნება განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების ეტაპისთვის.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს საბა ბუაძემ, ნინო წულაძემ და ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად

7. „ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.13.001.117) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ივნისის №188 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032314992-03 29.05.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდელიემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ და ილია ვეკუას ქუჩა N11გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდით №01.11.13.001.121; N01.11.13.001.122). ტერიტორიის ფართობია 26 378 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N45 განკარგულებით საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცებულია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ივნისის N188 განკარგულებით - განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიას დაუდგინდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2),

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1). ძირითადი ფუნქციური ზონა არის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) - 23 145 კვ.მ რზ-2 - 1910 კვ.მ. ტზ-1 - 1070 კვ.მ. სპეცზ-1 - 253 კვ.მ. საზოგადოებრივ-საქმიანი ზონაში დაგეგმილი იყო მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანება - 60% საცხოვრებელი 40% საზოგადოებრივი. კომპლექსი შედგებოდა 2-3 სართულიანი სავაჭრო ცენტრისგან, 28-32 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი ბლოკისა და ცალკე მდგომი 8 სართულიანი სასტუმროსგან, რომელიც გამოყოფილი იყო გამწვანებული ღია სივრცით. სექტორში მაქსიმალურად არ იყო ათვისებული სსზ-1-სათვის დადგენილია განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტი და კ-2=3,5-ის ნაცვლად ათვისებული იყო კ-2=3,1. შემდგომ 2022 წლის 15 თებერვლის N50 განკარგულებით ცვლილება შევიდა პროექტში, რომლის მიხედვითაც სსზ-1-სათვის დაიგეგმა კ-2=3,1-ს გაზრდა, კანონდებლობის შესაბამისად კ-2=3,5- მდე. შესაბამისად გაიზრდა სამშენებლო მოცულობა და კომპლექსს დაემატა ერთი 21 სართულიანი საცხოვრებელი ბლოკი. ამასთან იცვლება დადგენილი პროცენტული განაწილება და 60/40-ის ნაცვლად დადგენილია 75%-საცხოვრებელი და 25% საზოგადოებრივი ფუნქცია. (პროცენტულობის ცვლილებასთან დაკავშირებით დაცულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-16 1 მუხლის მოთხოვნები და ალბომში დაფიქსირებულია მუნიციპალიტეტისათვის გადმოსაცემი საცხოვრებელი ფართობის რაოდენობა, რომელიც შეადგენს 822 კვ.მ.-ს) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები სექტორების მიხედვით (დამტკიცებული კორექტირებული გრგ-ს მიხედვით) N1 სექტორი - 26125 კვ.მ - სსზ-1, რზ-2, ტზ-1 კ1 - 0,3 - 8 000 კვ.მ. კ2 - 3,5 - 91 471 კვ.მ 2-3, 8, 21, 28, 32 სართული კ3 - 0,3 - 7 600 კვ.მ. N2 სექტორი - 253 კვ.მ. - სპეცზ-1 ელექტრო ტრანსფორმატორი კ1 = - კ2 = - კ3 = 0,2 - 60 კვ.მ. საპროექტო წინადადებით დაგეგმილია სსზ-1 -სათვის დადგენილი კ-2=3,5 კოეფიციენტის სრულად ათვისება. (დამტკიცებული გრგ-თი კ-2 კოეფიციენტი დადგენილი იყო 3,46 მეათედებამდე დამრგვალებით 3,5; ხოლო კორექტირებით მოთხოვნილია 3,54 მეათედებამდე დამრგვალებით 3,5). შესაბამისად იზრდება სამშენებლო მოცულობა 1,128 კვ.მ.-ით --- 91 471 კვ.მ.-დან 92 599 კვ.მ.-მდე. ასევე მოთხოვნილია დადგენილი პროცენტული განაწილების 75%-საცხოვრებელი 25%-საზოგადოებრივი ფუნქციის ცვლილება: 90%-საცხოვრებელი 10%-საზოგადოებრივი. აღნიშნული ცვლილების შესაბამისად იზრდება სართულიანობა, დომინანტ 32 სართულიან შენობას, N4 ბლოკს ემატება 4 სართული. მაქსიმალური სიმაღლე იზრდება 111,20 მ-დან 126,00 მეტრამდე. 28 სართულიან N2 ბლოკს ემატება 2 სართული. მაქსიმალური სიმაღლე იზრდება 98,00 მდან 106,00 მეტრამდე. მცირდება პირველი კომერციული 2 სართულიანი (N1, 3, 7 ბლოკები) შენობები 1 სართულით. სიმაღლე მცირდება 11,10 მეტრიდან 6,50; 5,10 მეტრამდე. მცირედით იცვლება, მცირდება N3 ბლოკის განთავსების კონტური. საპროექტო პარამეტრები N1 სექტორი - 26125 კვ.მ - სსზ-1, რზ-2, ტზ-1 კ1 - 0,3 - 8 000 კვ.მ კ2 - 3,5 - 92 599 კვ.მ 1-2, 8, 21, 30, 36 სართული კ3 - 0,3 - 7 600 კვ.მ. N2 სექტორი - 253 კვ.მ. - სპეცზ-1 ელექტრო ტრანსფორმატორი კ1 = - კ2 = - კ3 = 0,2 - 60 კვ.მ. იცვლება დადგენილი პროცენტული განაწილება 75% საცხოვრებელი 25% საზოგადოებრივი ფუნქციის იცვლება 90%-საცხოვრებელი 10%-საზოგადოებრივი. (პროცენტულობის ცვლილებასთან დაკავშირებით დაცულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14- 39 დადგენილების მე-16 1 მუხლის მოთხოვნები და ალბომში დაფიქსირებულია მუნიციპალიტეტისათვის გადმოსაცემი საცხოვრებელი ფართობის რაოდენობა, რომელიც შეადგენს 1 411 კვ.მ.-ს).

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს საბა ბუაძემ, ნინო წულაძემ და ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად

8. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე ქართველიშვილის ქუჩა №4; ქალაქ თბილისში, ზემო ალექსეევკას დასახლებაში, კახეთის გზატკეცილსა და სამგორის ქვემო მაგისტრალურ არხს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.16.003.383) სასაწყობე შენობების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს №376 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032314968-03 29.05.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ალექსანდრე ქართველიშვილის ქუჩა N4; ქალაქ თბილისში, ზემო ალექსეევკას დასახლებაში, კახეთის გზატკეცილსა და სამგორის ქვემო მაგისტრალურ არხს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.19.16.003.383). საპროექტო ტერიტორიის ფართობია 34 277 კვ.მ. ტერიტორიას აღმოსავლეთით ესაზღვრება ალ. ქართველიშვილის ქუჩა. ჩრდილოეთით - კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია შენობა (ქარხანა), ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს ნაკვეთი რომელზეც განთავსებულია სასაწყობე შენობები. დასავლეთით ტერიტორიას ესაზღვრება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გაუნაშენიანებელი მიწის ნაკვეთი. სამხრეთით კი კერძო საკუთრებაში არსებული გაუნაშენიანებელი ნაკვეთები. ტერიტორიაზე სატრანსპორტო კავშირი ხორციელდება ალ. ქართველიშვილის ქუჩიდან, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება კახეთის გზატკეცილს. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირებით კი ტერიტორია მდებარეობს პერიფერიულ ზონაში. საპროექტო ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს N376 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა. დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია არსებული ფუნქციური ზონის - სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) შესაბამისად 2 ძირითადი (A, B) სასაწყობე შენობის განთავსება, მისი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი საოფისე ფართებით, რაც სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) კონკრეტული ფუნქციური რეგლამენტით დასაშვებია. წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირების პროექტით, მცირედით შეცვლილია შენობათა განთავსება და შენობების კონფიგურაციები, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი კოეფიციენტების უცვლელად. აგრეთვე, შეცვლილია საპროექტო ტერიტორიის შიგნით სავალი სამანქანე გზები. საპროექტოდ გათვალისწინებულია, როგორც მსუბუქი (5) ასევე, სატვირთო ავტომობილების (37) ავტოსადგომები, ჯამში 42 ერთეული. წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით ტერიტორია უზრუნველყოფილი იქნება ყველა აუცილებელი საინჟინრო ქსელებითა და კომუნიკაციებით, რომელიც დადასტურებულია პროექტში წარმოდგენილი შესაბამისი უწყებების წერილებით.

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი - 34 277 კვ.მ. სასაწყობე ფუნქციით განვითარებული მიწის ნაკვეთების რაოდენობა (საპროექტო) - 1; შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლე - 14მ; შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სართულიანობა - 3 სართული; არსებული ფუნქციური ზონირება: სამრეწველო ზონა 1 (ს-1); საპროექტო ფუნქციური ზონირება: სამრეწველო ზონა 1 (ს-1); საპროექტო კოეფიციენტები (რჩება უცვლელი): მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1=0.4 (15 300 კვ.მ.); მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი: კ-2=1.7 (20 600 კვ.მ.); მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0.12 (4 150 კვ.მ.); ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 3 მაისის N0123123193 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს სასაწყობე შენობების განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2023 წლის 2 მაისის N01231223252 წერილის შესაბამისად, აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი არ არის.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს საბა ბუაძემ, ნინო წულაძემ და ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად

9. ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №81.02.93.274; №81.02.00.105; №81.02.11.439; №81.02.11.449; №81.02.11.477; №81.02.11.520; №81.02.11.583; №81.02.11.613; №81.02.11.689; №81.02.11.757; №81.02.11.984; №81.02.11.985; №81.02.36.011; №81.02.36.033; №81.02.36.039; №81.02.93.248; №81.02.36.040; №81.02.93.249; №81.02.36.049; №81.02.36.050; №81.02.36.052; №81.02.36.059; №81.02.36.077; №81.02.93.045; №01.81.02.317.001-ის ნაწილი; №81.02.36.036; №81.02.36.033) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032314982-03 29.05.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.93.274; N81.02.00.105; N81.02.11.439; N81.02.11.449; N81.02.11.477; N81.02.11.520; N81.02.11.583; N81.02.11.613; N81.02.11.689; N81.02.11.757; N81.02.11.984; N81.02.11.985; N81.02.36.011; N81.02.36.033; N81.02.36.039; N81.02.93.248; N81.02.36.040; N81.02.93.249; N81.02.36.049; N81.02.36.050; N81.02.36.052; N81.02.36.059; N81.02.36.077; N81.02.93.045; N01.81.02.317.001-ის ნაწილი; N81.02.36.036; N81.02.36.033) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია 33 289 კვ.მ. ტერიტორიას აღმოსავლეთით და სამხრეთით ემიჯნება მიწის ნაკვეთები. ჩრდილოეთით და დასავლეთით არსებული გზა, თაბორის მთის ქუჩა, საიდანაც ხორციელდება სატრანსპორტო კავშირი ქალაქთან. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის

გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), გამწვანებული ტერიტორიების ფენით შემოთავაზებულია სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3). ტერიტორიულ- სტრუქტურული ზონირებით ტერიტორია მდებარეობს პერიფერიულ ზონაში. საპროექტო ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N213 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. საპროექტო წინადადებით ტერიტორია ვითარდება არსებული ფუნქციური ზონირებით, სარეკრეაციო ზონა 3-ითა (რზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და ასევე, იგეგმება საპროექტო გზებზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ის გავრცელება. საპროექტო ტერიტორია იმიჯნება 31 მიწის ნაკვეთად, აქედან, 24 ნაკვეთი განვითარებულია სამშენებლოდ, სააგარაკე-დასასვენებელი სახლის განთავსებისთვის, ხოლო, დანარჩენი ნაკვეთები განკუთვნილია საგზაო ინფრასტრუქტურისთვის. წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით ტერიტორია უზრუნველყოფილი იქნება ყველა აუცილებელი საინჟინრო ქსელებით და კომუნიკაციებით, რომელიც დადასტურებულია პროექტში წარმოდგენილი შესაბამისი უწყებების წერილებით. ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი - 33 289 კვ.მ; სამშენებლოდ განვითარებული მიწის ნაკვეთების რაოდენობა (საპროექტო) - 24; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისთვის განკუთვნილი ნაკვეთების რაოდენობა - 7; შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლე - 12 მ; შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სართულიანობა - 3 სართული; არსებული ფუნქციური ზონირება: სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); საპროექტო ფუნქციური ზონირება: სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) - 24011 კვ.მ; სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - 9278 კვ.მ; საპროექტო კოეფიციენტები: სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3): მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1=0.3; მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი: კ-2=1.0; მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0.6; სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1): მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0.1; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 7 აპრილის N01230973938 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2023 წლის 18 მაისის N01231382672 წერილის შესაბამისად, არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - სსიპ ქონების მართვის სააგენტო 2022 წლის 1 სექტემბრის N61-01222442837 წერილის შესაბამისად, არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული რეგისტრირებული და დაურეგისტრირებული მიწის ნაკვეთები, მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალში, მოხდეს მათი ნაწილის გამოჯვანა, გაერთიანება, ადგილმონაცვლეობა და ფუნქციური ზონის ცვლილება.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს საბა ბუაძემ, ნინო წულაძემ და ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად

10. ქ. თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №81.02.21.740; №81.02.21.739; №81.02.21.738) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032314969-03 29.05.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.21.740; N81.02.21.739; N81.02.21.738) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო არეალის ჯამური ფართობია 13 824 კვ.მ. აქედან, რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობია 12 001 კვ.მ. ხოლო, დაურეგისტრირებელი ტერიტორიის - 1 823 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). საპროექტო ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის N454 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. შემოთავაზებული საპროექტო წინადადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის განვითარება დაგეგმილია საცხოვრებელი ზონა 1-ითა (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1). ტერიტორიაზე იგეგმება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. საპროექტო ტერიტორია დაყოფილია 19 მიწის ნაკვეთად, საიდანაც საამშენებლოდ განსაზღვრულია 16 ნაკვეთი, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისთვის და 3 - გზისთვის/ტროტუარებისთვის. გზისა და ტროტუარების არეალზე გავრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და საჯარო სერვიტუტი. საპროექტო ტერიტორიის არეალში შედის დაურეგისტრირებელი სივრცე (საპროექტო ნაკვეთი №18, ფართობით 1 823 კვ.მ), ხდება ფართის უცვლელად ადგილმონაცვლობა, რომელზეც ეწყობა საგზაო ინფრასტრუქტურა და ვითარება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1). საპროექტო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებია: საპროექტო არეალის ფართობი - 13 824 კვ.მ. არსებული ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1); საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლე - 15 მ. შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სართულიანობა - 3 სართული; ნაკვეთი N1-16 -ის ჩათვლით: საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1=0,5; მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი: კ-2=0,8; მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0,4; ნაკვეთი N17-18-19: სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0,1; „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 51 პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული

